

საბაზრო რისკების მართვა საბანკო სისტემაში

საბაზრო რისკები საბანკო სისტემაში, განსხვავებით ტრადიციული საკრედიტო რისკებისა, არ არის გამოწვეული საბანკო ინსტიტუტის უმოქმედობით ან არასწორი პოლიტიკით. საბაზრო რისკები მიეკუთვნება გარეშე ფაქტორების კატეგორიას, რომელზე ზემოქმედება ბანკს არ შეუძლია, მაგრამ მათი გაუთვალისწინებლობა შეიძლება მძიმე შედეგების მომტანი აღმოჩნდეს საბანკო ინსტიტუტისთვის.

საბაზრო რისკები საბანკო სისტემაში დაკავშირებულია ოთხი უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური ბაზრის ფასების ცვალებადობასთან. ესენია: ფასიანი ქაღალდების ბაზარი, აქციების ბაზარი, სავალუტო ბაზარი და სასაქონლო ბაზარი.

ყოველი მათგანის არამდგრადობა შეიცავს პოტენციურ რისკებს ბაზარზე მიმოქცევადი ფინანსური ინსტრუმენტების ფასების ცვალებადობაზე.

საბაზრო რისკი, იგივე პოზიციის რისკია, რომელიც წარმოადგენს საბალანსო და არასაბალანსო პოზიციების შესაძლო დანაკარგებს, რომელიც გამოწვეულია საბაზრო ფასების არასასურველი დინამიკით. იგი თავისი ხასიათით მიეკუთვნება სპეკულაციური რისკების კატეგორიას, რადგანაც ფასების ცვლილებას მიეყვარათ ან მოგებადმდე, ან ზარალიდმდე.

რისკები წარმოიშობა არა მხოლოდ ბაზრის ცვლილების შედეგად, არამედ შესაძლებელია ბაზრის რომელიმე მსხვილი მონაწილის ქმედებების შედეგად.

პოტენციური საბაზრო რისკების გაზრდა აიხსნება საბანკო ბიზნესის დივერსიფიცირებით, რომლებიც გამოდიან ტრადიციული, შუამავლის ფუნქციების ჩარჩოებიდან და ახორციელებენ ფინანსური ინსტრუმენტების საინვესტიციო და სავაჭრო ოპერაციებს მაღალი შემოსავლების მიღების მიზნით, მაგრამ ამაღდროულად ბანკები ღვებიან მნიშვნელოვნად მაღალი რისკების წინაშე.

გამომდინარე იქიდან, რომ საბაზრო რისკები დამოკიდებულია აქციების, საქონლის, ფულის მასის და ვალუტის ფასების ცვლილებაზე, ამიტომ ბანკების რისკების მთავარი კომპონენტებია სააქციო კაპიტალში მონაწილეობის რისკი, საქონელზე ფასების ცვლილების რისკი, საპროცენტო რისკი და სავალუტო რისკი. ყველა ზემოთხაზოვნილი კომპონენტი შეადგენს საერთო საბაზრო რისკების ნაწილს და გამომდინარეობს ბანკის პორტფელის სტრუქტურიდან.

საბაზრო რისკებზე და ბაზრის სტრუქტურაზე

მაია ალადაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა
დოქტორი ეკონომიკაში,
ასისტენტ-პროფესორი.
ნანული ხიზანიშვილი
ეკონომიკურ მეცნიერებათა
დოქტორი, ასოც. პროფესორი.

ტურაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ ასევე მსხვილი ინსტიტუციონალური ინვესტორები, როგორებიცაა სადაზღვევო კომპანიები და საინვესტიციო ფონდები. ინსტიტუციონალური ინვესტორები ფლობენ მსხვილ საინვესტიციო და სავაჭრო პორტფელებს და ახორციელებენ მასშტაბურ ოპერაციებს, რომლებიც საერთო ჯამში, ადიდებენ ფასების ცვლილების ამპლიტუდას და შესაბამისად, საბაზრო რისკებსაც.

თავისი ბუნებიდან გამომდინარე, საბაზრო რისკები მოითხოვს სისტემატურ ყურადღებას და ადეკვატურ ანალიზს მენეჯმენტის მხრიდან. ბანკის მენეჯერებმა მუდმივად უნდა აკონტროლონ შესაბამისობა პოტენციურ საბაზრო რისკებსა და მათ კაპიტალს შორის. აუცილებელია რაოდენობრივი და ხარისხობრივი ეკონომიკური ანალიზის ჩატარება, რომელიც ეკონომიკის ყველა სექტორს მოიცავს, თუმცა საბანკო სექტორისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია ფულადი და საფონდო ბაზრები. საბაზრო რისკების მართვის პროცესში ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპია ინფორმაციის მოპოვება, რომელიც დინამიკური პროცესია და შეუჩერებლად ხორციელდება ბანკის ანალიტიკოსების მიერ.

ბანკებმა სისტემატურად უნდა განახორციელონ საბაზრო რისკების მართვის სპეციალური პოლიტიკის ფორმულირება, მისი მიზნების და მეთოდების ჩამოყალიბება, რომელიც მიმართული იქნება საბაზრო ფასების არასასურველი ცვლილებების მიმართ მათი კაპიტალის დაცვისკენ. აღნიშნული პოლიტიკა, რა თქმა უნდა, შემუშავებული უნდა იქნას მოქმედ კანონმდებლობასთან და იურიდიულ რეგულირებასთან შესაბამისობაში.

მიუხედავად რისკების მართვის პოლიტიკის განსხვავებულობისა, რომელიც ბანკების სპეციფიკიდან გამომდინარეობს, მაინც არსებობს საერთო მიმართულებები, რომლებიც ყველა საბანკო ინსტიტუტისთვის მნიშვნელოვანია:

1. გადაფასება მიმდინარე ფასების ცვ-

ლილების გათვალისწინებით. აქ იგულისხმება საბანკო პორტფელის გადაფასება, ცვლილებების შეტანა საბანკო აქტივებში საბაზრო ფასების ცვლილებებთან მიმართებაში, ანუ აქტივი შეფასდება მიმდინარე საბაზრო ღირებულებით.

ამ გადაფასების პერიოდულობა, როგორც წესი, დამოკიდებულია საბანკო ოპერაციების მასშტაბზე და ხასიათზე. გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ საბანკო აქტივების ყიდვა-გაყიდვა მუდმივად და შეუწყერებლად ხორციელდება, მიზანმიმართული იქნება საინვესტიციო პორტფელის შეფასება მოხდეს ყოველთვიურად მაინც. შესაბამისი მონაცემები გადაეცემა ბანკის უმაღლეს ხელმძღვანელობას, რომელიც პასუხისმგებელია ინვესტიციების და აქტივების მართვაზე. იმისათვის რომ დროულად იქნას განხორციელებული შესაბამისი მოქმედებები, აუცილებელია ბანკმა რეგულარულად მოიპოვოს უტყუარი, უახლესი ინფორმაცია ბაზარზე არსებული ფასების და იმ ოპერაციების შესახებ, რომელთაც კავშირი აქვთ ბანკის პორტფელურ აქტივებთან.

2. შიდა საბანკო ოპერაციების ლიმიტი. საბაზრო რისკების მართვის პოლიტიკა აუცილებლად უნდა მოიცავდეს შეზღუდვებს გრძელვადიანი და მოკლევადიანი ოპერაციების განხორციელებისას ლიკვიდურობის რისკის გათვალისწინებით, რომელიც შესაძლოა წარმოიშვას არარეალიზებული გარიგებების, მსგავსი ვადიანი კონტრაქტების შეუსრულებლობის გამო. აღნიშნული ლიმიტები პოზიციების მიხედვით აუცილებლად უნდა იყოს შესაბამისობაში კაპიტალის იმ დონესთან, რითაც შესაძლებელი იქნება საბაზრო რისკის გადაფარვა. ბანკებმა, განსაკუთრებით მათ, რომელთაც გააჩნიათ მსხვილი საინვესტიციო და სავაჭრო პორტფელი, აუცილებლად უნდა დააწესონ ლიმიტი იმ ოპერაციებზე, რომლებსაც ახორციელებენ ფილიალები და განყოფილებები. აღნიშნული ტიპის საბაზრო რისკების მართვისათვის ბანკის მიერ განსაზღვრული უნდა იქნას მოქმედი ლიმიტების პერიოდულობა და მათი კონტროლი.

3. მდგომარეობა, რომელიც ითვალისწინებს ზარალიანი ოპერაციების შეჩერებას. საბაზრო რისკების მართვის პოლიტიკა უნდა შეიცავდეს “ზარალიანი ოპერაციის შეჩერების” შესაძლებლობას. ბანკების მიერ, ნებისმიერი ოპერაციის განხორციელებისას, როგორც წესი, წინასწარ არის განსაზღვრული დანაკარგების რისკის ლიმიტი, რომელიც დადგენილია ბანკის კაპიტალის სტრუქტურიდან, შემოსავლიანობის ტენდენციიდან და რისკების საერთო პროფილიდან გამომდინარე. როდესაც დანაკარგები აჭარბებს განსაზღვრულ რისკების დონეს, ბანკი უფლებას იტოვებს, ან საერ-

თოდ შეაჩეროს აღნიშნული ოპერაცია, ან გადაიხედოს და გადაფასდეს საბანკო რისკების მართვის კომიტეტის მიერ.

სწორედ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საბაზრო რისკების შემცირების მიზნით, საქართველოში მოქმედი ყველა საბანკო ინსტიტუტის ნებისმიერი საბანკო ხელშეკრულება მოიცავს მუხლს, რომლის მიხედვითაც ბანკი უფლებას იტოვებს ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები. მაგალითისთვის წარმოდგენილია საქართველოს ბანკის სტანდარტული სასესხო ხელშეკრულების ერთ-ერთი მუხლი:

“ბანკი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს, საკუთარი შეხედულებისამებრ და ცალმხრივად: – შეცვალოს საბანკო პროდუქტის მოცულობა;

– გაზარდოს ან შეამციროს ხელშეკრულებით დადგენილი საპროცენტო განაკვეთის, საკომისიოს ან/და პირგასამტეხლოს ოდენობა(ები);

– შეცვალოს ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით დადგენილი საპროცენტო განაკვეთის, საკომისიოს ან/და პირგასამტეხლოს ოდენობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფარგლებში;

– შეცვალოს ხელშეკრულების სტანდარტული პირობები;

– დაადგინოს ხელშეკრულებით ან/და ხელშეკრულებათა დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ) გათვალისწინებული საბანკო პროდუქტებით სარგებლობასთან დაკავშირებული საკომისიოს ტიპები ან/და მათი განაკვეთების ოდენობა...”

აღნიშნული მუხლი საშუალებას აძლევს საბანკო დაწესებულებას მთლიანად დაიხდოს თავი არასასურველი მოსალოდნელი ზარალისაგან, თუმცა, მეორეს მხრივ, იგი დიდი რისკის შემცველია თვითონ კლიენტის მიმართ, რამეთუ შეცვლილი პირობები გაუთვალისწინებელი ზარალის მომტანი შეიძლება აღმოჩნდეს მათთვის. სწორედ ასეთი პირობებია მიზეზი იმისა, რომ ზოგიერთი ბიზნესმენი გაურბის დაფინანსების საკრედიტო წყაროს და მიმართავს ალტერნატიულ გზებს ინვესტიციების განსახორციელებლად ან სამომხმარებლო სესხებისთვის, როგორიცაა, მაგალითად, ახალი ინვესტორის ძებნა, კერძო სესხები და სხვა. ეს პროცესი კი თავისთავად ამცირებს საბანკო სისტემაში კლიენტების რაოდენობას.

4. პოლიტიკა კონცენტრაციის მიმართ.

კონცენტრაციის ქვეშ მოიაზრება მსხვილმასშტაბიანი ვალდებულების არსებობა ან ფასიანი ქაღალდების მსხვილი პაკეტის ფლობა ერთი და იმავე ემიტენტის, ერთი და იმავე ბაზრის ან გეოგრაფიული რაიონის, ან ერთი და იმავე დარგისა. საბანკო ბალანსის ნებისმიერი ელემენტის კონცენტრაცია უკვე ზრდის საბაზრო რისკებს,

ამიტომ ბანკის საინვესტიციო და სავაჭრო პოლიტიკამ უნდა განსაზღვროს კონცენტრაციის საზღვრები სხვადასხვა ელემენტებთან მიმართებაში. ბანკს ასევე შეუძლია განახორციელოს ლიბერალური პოლიტიკა კონცენტრაციასთან მიმართებით, თუმცა, ამ შემთხვევაში, აუცილებელი ხდება სისტემატური ანალიზი და კონტროლი, რათა თავიდან იქნეს აცილებული საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში მაღალი რისკები.

5. ახალ ბაზარზე შესვლის ლიმიტი. თანამედროვე პირობებში არსებული კონკურენციის და საბაზრო მდგომარეობის შენარჩუნების მიზნით ბანკები ხშირად გადიან სტანდარტული ინსტრუმენტების ჩარჩოებიდან და ახორციელებენ ფინანსურ ინოვაციებს სხვადასხვა ახალ ბაზარზე, რადგანაც ისინი უფრო მეტი მოგების მომტანია, ვიდრე სტანდარტული ოპერაციები. თუმცა, აღნიშნული ინოვაციები დაკავშირებულია რისკის განსაკუთრებულ სახეობასთან, რადგანაც ბანკი ახორციელებს ოპერაციებს ისეთ ინსტრუმენტებთან, რომლის შემოსავლიანობა და მდგრადობა ჯერ

კიდევ არ არის აპრობირებული რეალურ საბაზრო პირობებთან. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე, ბანკის საბაზრო პოლიტიკის მიერ მკაცრად უნდა იქნას განსაზღვრული ახალ ბაზარზე მონაწილეობის ლიმიტები და სისტემატურად იქნას ისინი გადახედილი, რადგანაც ბაზრები უსწრაფესი ტემპებით ვითარდება და ფართოვდება, ამიტომ, როგორც კი ახალი ბაზარი დაამთავრებს ფორმირებას და გახდება ლიკვიდური, ბანკმა აუცილებლად უნდა შეცვალოს თავისი ლიმიტების დონე ბაზრის შესაბამისად.

6. აღრიცხვიანობის წარმოება. რისკების მართვის პროცესში უდიდესი როლი აკისრია ფინანსური აღრიცხვიანობის გამართული სისტემის არსებობას, რომელიც მუდმივად უნდა გადაიხედებოდეს და კონტროლდებოდეს შესაბამისი პასუხისმგებელი პირებისა და აუდიტის მიერ.

ყოველივე ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, ბანკს შეუძლია თავი დაიზღვიოს ან მინიმუმამდე შეამციროს საბაზრო რისკებით გამოწვეული შესაძლო დანაკარგები.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი “კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ”. საქართველოს საბანკო კანონმდებლობა, თბილისი, სეპ-ის გ-ბა. 1996.
2. საქართველოს ეროვნული ბანკი. სიახლეები. ბანკების შესახებ. 2011. www.nbg.ge
3. Базел 2. Обсуждение. «свободная энциклопедия». www.wikipedia.org.
4. Грюнинг Хенни ван, Братанович Соня Брайович. Анализ банковских рисков. Система оценки корпоративного управления и управления финансовым риском. Москва: издательство „Весь Мир“. 2007, с.4.
5. Делягин М., Шейнов В., Мир наизнанку. «Чем закончится экономический кризис для России?» ИД «Коммерсантъ». ЭКСМО, Москва, 2009, 347 с.
7. Эйкен Джон Вон., Менеджмент. Руководство по выживанию. Москва: Альпина бизнес букс. 2009, 290 с.

УПРАВЛЕНИЕ РЫНОЧНЫМ РИСКОМ В БАНКОВСКОЙ СИСТЕМЕ

МАИЯ АЛАДАШВИЛИ - доктор экономики, асист-профессор
НАНУЛИ ХИЗАНИШВИЛИ - доктор экономики, асист-профессор

В статье рассмотрены роль и значение рыночного риска в банковском бизнесе. Как правило, присущим являются определенные ее направления: переоценка с учетом текущего изменения цен; внутренние банковские лимиты операций; положения, предусматривающие приостановку убыточных операций; политика в отношении концентрации; лимиты присутствия на новых рынках и ведение учета. Банк должен сформулировать специальную политику управления рыночным риском, ее цели и методы, направленные на защиту капитала от негативных воздействий изменений рыночных цен.

RISK MANAGEMENT IN BANKING SYSTEM

MAIA ALADASHVILI - Doctor of economics, Asist.-prof.
NANULI KHIZANISHVILI - Doctor of economics, professor

The article reflects issues such as role of market risks and specifications in the banking business. Key dimensions of market risk management are very important for all banking institutions. Among the key dimensions of market risk management, such as reevaluation of current costs, limits on internal banking operations, conditions that suspend risky operations, policy on concentrations and focus, limitations on entering new markets and accounting. Most critical in risk management is research and data acquisition, which is a dynamic process and is conducted by analytic team of banking institutions.